

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 40

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის დადგენილება №5 „დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულებაში“ შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

დებულების პუნქტი 7.2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7.2 თემატური სასემინარო ნაშრომის თემას არჩევს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი დოქტორანტთან შეთანხმებით და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

- დოქტორანტის პირველი სემინარი უნდა ეხებოდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხს და დასაშვებია მოიცავდეს ამ ეტაპზე კვლევის შედეგებსაც.

სემინარის მიზანია: წარმოაჩინოს როგორ იცნობს დოქტორანტი მისი კვლევის საკითხის განვითარებასა და თანამედროვე მიდწევებს; რამდენად არის დაუფლებული მეცნიერული კვლევის მეთოდებს; რამდენად სწორად აქვს გააზრებული საკვლევი საკითხის აქტუალობა და ა.შ.

- დოქტორანტის მეორე სემინარი უნდა ეხებოდეს დოქტორანტის მიერ განხორციელებულ კვლევასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხს, ამასთან აუცილებელია მოიცავდეს კვლევის შედეგებს მოცემულ ეტაპზე აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

სემინარის მიზანია: წარმოაჩინოს რა მოცულობითა და სიღრმით აქვს დამუშავებული დოქტორანტს მის კვლევასთან დაკავშირებული ერთი კონკრეტული საკითხი.


დებულებას დაემატოს პუნქტი 11.5

11.5 დისერტაციის დაცვიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა დოქტორის საადრიცხვო ბარათის (დანართი) ერთი შევსებული ფორმა ბარდება სტუ-ს სწავლებისა და მეცნიერების დეპარტამენტს დაცული წესით აკინძულ ჟურნალში რეგისტრაციით.

დებულების პუნქტი 13.1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13.1 დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ მოწმობას/დიპლომს გასცემს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ამავე დებულების პუნქტი 11.5-ის შესრულების შემდეგ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის მ/შ
პროფესორი

 ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი
პროფესორი

 გ. სალუქვაძე